ხალართ. მეშარც. ხოც.-ფედ. საბჭო. პარტია

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთ „სრიგუნა“ ლირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 100,000 მან.
4 „ 50,000 „
საგვლოვანო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 449 პარასკევი, აპრილის 20 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

უმუშევრობა

უმუშევრობამ მიიქცია პრესის ყურადღება. შრომის ბირჟა თავს ვერ ართმევს უმუშევართა რიგებს. დაწესებულებანი ვერ იტევს მუშა-ხელს. უმუშევრობა აუტანელ პირობებში აყენებს მშრომელთა ფართო წრეებს.

ცხადია, უმუშევრობას მარტო ჩვენში არა აქვს ადგილი. უმუშევრობა ფართო ხასიათს იღებს იმ ქვეყნებშიაც კი, სადაც შედარებით ცხოვრების პირობები უკეთესია.

ამერიკის გალალებული ეკონომიური რესურსებიც არ სპობს უმუშევართა ლეგიონებს. ტრესტების მეფენი კარგად სარგებლობენ მუშების „თავისუფლებით“ და სხ. და სხ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშებს ქუჩაში გადაისვრიან, როდესაც საჭირო ხდება მუშათა ხელის შემოკლება წარმოება-დაწესებულებაში. ჩვენში, მიუხედავად სახელმწიფოს სალაროს უნუგეშო პირობებისა, ასეთ მოვლენას ვერ გავამართლებთ. მეურნეობის თვალსაზრისით ვერ მუდგებით მარტო მშრომელთა ინტერესების განხილვას, რადგან მეურნეობა არსებობს მშრომელთათვის და არა პირუკუ.

ამიტომ სახელმწიფომ უეჭველად უნდა გამონახოს რაიმე სამუშაო. მან არსებობის საშუალება უნდა მისცეს დღეს უმუშევრათ დარჩენილთ.

ეს საკითხი ადვილი მოსაგვარებელი არ არის. ტფილისში ძალიან ბევრი უმუშევარია. დაწესებულება-წარმოებათა შტატის გადიდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ სამუშაო ხელფასის მილების საშუალება მიეცეს დღევანდელ უმუშევრებს, რა თქმა უნდა შეუძლებელია. ამის გარდა საჭიროა შრომა იძლეოდეს ნაყოფიერებას და პირობებს თავისი შენახვისათვის მაინც. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. უმუშევრობის მოსპობის უმთავრესი წყარო უნდა გახდეს შრომის გამოყენება. ეს კი სიძნელეს წარმოადგენს ჩვენი ქალაქისა თუ ქვეყნისათვის. ჩვენ არა გვაქვს გაჩერებული ქარხნები და ფაბრიკები. სამრეწველო ცენტრები იმდენათ სუსტია, რომ იგი ვერ იტევს მუშა ხელს. სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი არიან უმთავრესი ნავთსაყუდელნი შრომის გაქირავებისა. ამდენათვე უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ცუდ პირობებშია.

მიუხედავათ ყოველივე ამისა, უმუშევრობასთან ბრძოლა აუცილებელი და თავიდან მოუშორებელია. პრესამ რამდენიმე დებულება წამოაყენა უმუშევართა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ერთ ერთი მათგანი მდგომარეობს მის მტკიცებაში, რომ ოჯახიდან მხოლოდ ერთი წევრი უნდა მუშაობდეს. ეს დებულება მისაღებია საერთოდ, მაგრამ მას აუცილებლად დიდი შესწორება ესაჭიროება.

ნუ თუ ოჯახის წევრმა მხოლოდ ერთმა უნდა იმუშაოს მაშინაც, როდესაც ოჯახის წევრთა რიცხვი ორია და მაშინაც, როდესაც ათამდე აღწევს? რა თქმა უნდა აქ საჭიროა შესწორება.

აღსანიშნავია, რომ „ნეპომ“ მეტად გაგვიტაცა და ლამის არის ახალი ეკონომიური პოლიტიკიდან ყოველივე **ძველი** დარჩეს.

კაპიტალისტურ წყობილებას ახასიათებდა ხელფასის საკითხში არა მუშის ოჯახის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, არამედ ხელფასის იმ დონემდე დაყვანა, რაც კი მოსახერხებელი იყო მუშათა სოციალური ძალის დაპირისპირების დროს.

ეს არც საკვირველია. კაპიტალისტი მოგებას ეძებდა და არა მუშების კეთილდღეობას, სახელმწიფო (ინდივიდუალისტური სახელმწიფო მენგერის თერმინით რომ გამოვთქვად) მიზნად არ ისახავდა მთელ საზოგადოების კეთილდღეობის, არამედ განსაზღვრული კლასისა.

ამიტომ დასაშვებია, რომ ოჯახიდან ერთი მსახურებდეს, როგორც უკიდურესი ზომა. დირექტივი მუშა ხელის განაწილების პროცესში და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გარდაიქცეს კანონად.

ყოველივე ეს აღვნიშნეთ იმიტომ, რომ დებულება, ოჯახიდან ერთი წევრის მუშაობისა წამოყენებულ იქნა პრესაში.

როგორც დავინახეთ, უმუშევრობის მოსასპობად ეს ზომა არც მისაღებია საკუთარი და იგი ვერც მოგვცემს დიდ ეფექტს, კიდეც რომ მიღებულ იქნეს.

უმუშევრობასთან ბრძოლისათვის სხვა ზომები უნდა იქნეს მიღებული. უმთავრესი ზომა უნდა იყოს ახალი სამუშაოს აღმოჩენა, რომელიც უნდა იძლეოდეს სამეურნეო და არა სამართველო შრომის ასპარეზს. კონკრეტიულად ჩვენ არ ვასახელებთ ასეთ სამეურნეო საქმიანობას. ეს უმაღლეს სამეურნეო საბჭოსა და საერთოდ სამეურნეო ორგანიზაციის მოვალეობას შეადგენს. ასეთი სამეურნეო ხასიათის სფერო, როგორადაც სუსტი არ უნდა იყოს ჩვენი მეურნეობა, მაინც შეიძლება შეიქნას. აგრედვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ასეთი რამ ტფილისს გარეთ, სხვა დაბა-ქალაქებში უნდა იქნეს მოწყობილი.

არა ერთხელ აღგვინიშნავს ტფილისის დატვირთვა ხალხით პროვინციის ხარჯზე. საჭიროა ზომების მიღება, რომ პროვინცია არ დაცარიელდეს, რომ იქაც გასაქანი ქონდეს სამეურნეო და კულტურულ მუშაობას.

დაყოვნება შეუძლებელია, ამდენი უმუშევრის დგომა ტფილისში დაუშვებელია. მშრომელთა ხელისუფლება უაღრესად სოციალური ბუნებისაა, იგი საზოგადოების დიდი უმრავლესობის ინტერესს იცავს და გულგრილად ვერ უყურებს უმუშევართა ლეგიონებს. მან უნდა მიიღოს დაუყოვნებლივ ზომები სამეურნეო ხასიათის სამუშაოს აღმოჩენისათვის, რაც ერთი მხრით არსებობის საშუალებას მისცემს უმუშევართ (რაც მთავარია) და მეორე მხრით გაცდენილ სამუშაო ენერგიის გამოყენება, სამეურნეო პრინციპის დაცვით, გაზრდის ქვეყნის მატერიალურ რესურსებს, რომელიც ისევ მუშათა კლასის სასარგებლოდ იქნება გამოყენებული.

სხვა ზომა უმუშევრობასთან ბრძოლაში პოლიტიკური ხასიათისაა. მხოლოდ ამ მიმართებით შეიძლება არსებობის საშუალება მოუპოვოთ ულუკმაპუროთ დარჩენილთ.

ზეტი რამ

„ლაზისტანის საკითხი“

დასავლეთ ევროპის პრესაში ამ ბოლო დროს ფრაზად ვხვდებით ცნობებს ოსმალეთის ფარგლებში მოქცეულ მცირე ერთა შესახებ. სხვათაშორის სტამბოლის პრესა აღნიშნავს ლაზების დელეგაციის ჩამოსვლას ელჩთა საბჭოს წინაშე (?) ეს ქრონიკა მეტად ლაკონიურია და მისგან ჩვენ ვერას ვტყობულობთ, მხოლოდ ერთი კი ცხადია, რომ ლაზები ეძიებენ ეროვნულ თავისუფლების მოსაპოვებლად, რომ ლაზები ვერ ურიგდებიან არსებულ რეჟიმს. ამ მხრით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ოსმალეთში ადგილი აქვს არა თურქ ერების თავისუფლების ადულ-ჰამიდისებურად შებღალვას. ჩვენ ვიცით, რომ ანგორის დიდი ეროვნული ყრილობა ზარბაზნების ენით ელაპარაკება ქურთების ეროვნულ რევოლიუციურ მოძრაობას, ხოლო ლაზისტანში მუდმივი ეკზეკუცია სდგას. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ანგორას არ ესმის, რომ აბდულ ჰამიდის გზით სიარული მას აღარ ეპატიება და არც ხელსაყრელია. ნუთუ ანგორის მესვეურებმა არ უწყიან რომ ეროვნულ საკითხის თოფ-ზარბაზნებით გადაჭრა მეტად საშიშია... საკითხის ასე რიგად გადაჭრა სახელმწიფოს იატაკ ქვეშ ამფეთქებელ ნივთიერებათა ჩალაგებას ნიშნავს, თავისთავად ცხადია ლაზების მიმართვა ელჩთა საბჭოსადმი ერთგვარ საფრთხეს უდრის ანგორის სახელმწიფოსათვის.

ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლი ლაზები ვერ იხვედრებენ რა სამართლიან მოპყრობას ანგორის მთავრობისაგან ვერ ითმენენ საკუთარ ეროვნულ თავმოყვარეობის გადათელვას და მიჰმართავენ უცხოეთს...

ანგორის მთავრობა ვალდებულია ამ სახიფათო გარემოებას ანგარიში გაუწიოს.

ირ—დი.

ცხელი-ცხელები

უცხოეთი

შეტაკება.

ბერლინი, 18 აპრილი. რეიტერის სააგენტოს ცნობით კუანგ-საირს და იუ-ენის ჯარებს შორის კანტონში შეტაკება მოხდა. პირველი პეკინის მთავრობას უჭერს მხარს, მეორე კი—სუნ-იატ-სენს. შეტაკებამ ომის ხასიათი მიიღო და ახლაც გრძელდება.

მიწის ძვრა.

ბერლინი, 18 აპრილი. ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობით. ეკუადორში (სამხრეთ-ამერიკაში) ამოქმედდა ცეცხლის მფრქვეველი მთა პანგარაკუა. ქალაქი რიო-ბამბეო და მისი მიდამოები ფერფლმა დაჰფარა.

ლილის ფეიქრების გაფიცვა.

პარიზი, 18 აპრილი. ლილის ფეიქრების გაფიცვა გატებრიუკის რაიონსაც მოედო.

ძირს მილიტარიზმი.

პეკინი, 15 აპრილი. ხალხთა უფლების დაცვის კავშირმა მოაწყო კანტონში დიდი დემონსტრაციები, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს 10.000 კაცმა. დემონსტრაცია ჩატარდა შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „ძირს მილიტარიზმი, გაუმარჯოს რევოლიუციონურ არმიის მოწყობას პეკინის წინააღმდეგ.

ბრძოლის განწყობილება იშლება.

ვენა, 14 აპრილი. ავსტრიის სამთამადნო მუშების გაფიცვა შტირიაში გამწვავდა მწარმოებელთა პროვოკაციულ მოქმედების გამო, რომელთაც გაფიცულთა წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენეს ქრისტიანი შტრეიკბრეხერების ორგანიზაცია. მიუხედავად პროფკავშირთა ბიუროკრატიის ცდისა, საკომპრომისო წინადადება უარყოფილ იქნა მუშების მიერ. შტირიის მუშები ძველებურად ბრძოლისადმი განწყობილნი არიან. კომუნისტურმა პარტიამ გამოუშვა მოწოდება გაფიცულთათვის ფულით დახმარების გაწევის შესახებ. განზრახულია სასწრაფოდ დაარსდეს გაფიცვის ფონდი.

რევოლიუციონერთა დაპატიმრება.

ვენა, 16 აპრილი. რუმინიაში დაპატიმრებული არიან ერთ დროს რუმინიიდან გაქცეული რევოლიუციონერები ბაბენსკი და ჩიჩენკო, რომელნიც ამას წინად დაბრუნდნენ სამშობლოში. მათთან ერთად დაპატიმრებული არის 8 კომუნისტი, რომელთაც ვითომდა ხელი შეუწყეს მათ გაქცევას.

ელიორაბის დაპატიმრება.

ვენა, 16 აპრილი. ალექსანდრიაში დაპატიმრებულია ეგვიპტეს კომპარტიის წევრი მახმედ-გუსეინ-ელიორაბი.

ბონარლოუს გადადგომა.

ლონდონი, 16 აპრილი. ლონდონის კვირის გაზეთებმა დიდი სენსაცია გამოიწვიეს მოთავსებული ცნობით ბონარ-ლოუს მოსალოდნელ გადადგომის შესახებ; გადადგომის მიზეზად ასახელებენ ჯანმრთელობის დარღვევას. ბონარლოუს მოადგილედ ასახელებენ ჩემბერლენს და კერზონს.

ჩუხეთი.

ლახმარება წითელ ჯარს.

კურსკი, 16 აპრილი. კურსკის გუბერნიის გალეეის მაზრის ვაჭრებმა დაადგინეს ყოველთვიურად გადასდონ წითელი ჯარისათვის 200 ფუთი ხორბალი.

შრომის დაცვა.

როსტოვი—დონზე, 16 აპრილი. ლამე მუშაობისათვის შრომის დაცვის განყოფილებამ სამართალში მისცა 30 ფურნის პატრონი.

პროფ-ტექნიკური სკოლები.

მოსკოვი, 16 აპრილი. ბელორუსიაში ამ ჟამად არსებობს 30 პროფ-ტექნიკური სკოლა, სადაც სწავლობს 2000 მეტი კაცი. სკოლების ნაწილს ინახავს პროფ-კავშირები და სამეურნეო ორგანოები.

მუშაობა ყირგიზელ ქალებს შორის.

ერანსკი, 16 აპრილი. ერანის ქალთა განყოფილება ამ ჟამად დიდ მუშაობას აწარმოებს მუშა-ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასათრევათ. ეს მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს და კარგ შედეგებს იძლევა. ყირგიზეთის მრავალ მაზრებში ყირგიზელი ქალები შედიან საბჭოებში და მონაწილეობას იღებენ ყრილობებში და კონფერენციებში.

ეპისკოპოზ ანატოლის ხაზმე.

სამარა, 16 აპრილი. სამარაში დამთავრდა გამოძიება მღვდლების ერთი ჯგუფის შესახებ ეპისკოპოზ ანატოლის მეთაურობით. მათ ბრალათ ედებათ კონტრ-რევოლიუციონური აგიტაცია და მოქმედება. გამოძიებამ აღმოაჩინა დოკუმენტები, რომლებშიც ეპისკოპოზ ანატოლის მომხრეები „ცოცხალი ეკლესიის“ მიმდევრებს „გვერდში დანით“ ემუქრებიან.

ახალი ამბები

განათლების კომისარიატში.

— **მცირე წლოვანთა საქმეები განმხილველ კომისიაში.** განათლების კომისარიატთან არსებული მცირეწლოვანთა საქმეების განმხილველ კომისიაში 1922 წლის განმავლობაში შემოვიდა განსახილველათ სხვა და სხვა დანაშაულობის ჩამდენთა შესახებ სულ 1419 საქმე. აქედან 29 საქმე შემდგარი იყო მკვლელობის განზრახვისათვის. 17—ავაზაკობისათვის, 6—გაცარცვისათვის, 1186 ქურდობისათვის, 31—კვალიფიკაციურ ქურდობისათვის, 3—სპეკულიაციისათვის, 128—სხვა და სხვა სისხლის დაბაშაულობისათვის, და 19 უზნეობისათვის.

— **ჯეჯილი.** განათლების კომისარიატის სოციალურ აღრზდის მთავარ მმართველობის სალიტერატურო სამხატვრო სექციის ხელმძღვანელობით გამოვიდა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ მოზრდილთათვის. ჟურნალი ჩვეულებრივი შინაარსითაა შედგენილი და დასურათებილი.

— **ლენის მუშების დახვრეტის შესახებ.** 17 აპრილს განათლების კომისარიატში შესდგა თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. მარიამ ორახელაშვილმა ლენის მუშების დახვრეტის შესახებ.

ქალაქის აღმასკომში

— **საჰაერო ფლოტის სახარგებლოთ.** კვირას, აპრილის 15, შესდგა ქალაქის აბანოებში მომუშავეთა საერთო კრება, რომელზედაც მიღებულ იქნა დადგენილება, რათა ქალაქის აბანოებში კვირას აპრილის 22-ს წარმოებულ იქნეს მუშაობა. რომლის შემოსავალი გადაიდოს წითელ საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

— **უმუშევართა უფასოთ გაგზავნა რუსეთში.** შრომის ბირჟა აცხადებს რუსეთში დაბრუნების მსურველთ უმუშევართა საყურადღებოთ, რომ ასეთები უნდა ჩაეწერონ ბირჟასთან არსებულ სათანადო სექციაში, რის შემდეგ გაგზავნილ იქნებიან ნაჩვენებ ადგილებში.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **საქონლის ჭირი.** მიწად-მოქმედების კომისარიატის საბეითლო განყოფილების ცნობით საქართველოს ზოგიერთ მაზრებში გაჩნდა რქიან საქონლის ჭირი. საბეითლო განყოფილებამ ხსენებულ ადგილებში გაგზავნა ბეითლები ჭირის საწინააღმდეგო შრატით.

რკინის გზაზე

— **ქარხნის დახურვა.** ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშათა კოოპერატიულ ამხანაგობის გამგეობამ საჭიროთ სცნო ხეღლი მასალის ნაკლებობის გამო შეაჩეროს საპნის ქარხნის მუშაობა, ვინაიდან ხსენებული ქარხანა იძლევა ზარალს.

— **ძეხვების ქარხანა.** ამიერ კავკასიის რკინის გზის მუშათა კოოპერატივის გამგეობამ დაადგინა ძეხვის ქარხანა, რომელიც იმყოფება ქალაქის გარეთ—გადმოიტანოს ცენტრში, რათა უფრო გადავილებულ იქნეს ქარხნისათვის საჭირო მასალების მიწოდება.

— **პური და ფქვილი.** კოოპერატივის გამგეობამ ამიერ-კავკასიის მუშა-მოსამსახურეებისათვის დასარიგებელ პურის ფქვილზე დააწესა 600,000 მანეთი ფუთზე, ხოლო გირვანქა გამომცხვარ პურზე 15 ათასი მანეთი.

ქალაქის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში.

— **წყალსადენი.** მარტის თვის განმავლობაში ქალაქმა დაიხარჯა წყალი 19,170,919 ვედრა. კასაში შემოვიდა 23,804,858,500 მანეთი. ხარჯი—23,791,760,000 მან. მარტო მოსამსახურეებზე დაიხარჯა 3,790,239,000 მანეთი. ესე იგი 16 პროცენტი.

— **სასაკლაო.** წარსულ თვის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოზე დაკლულია 7,944 თავი საქონლისა. კასაში შემოვიდა 7,425,713.000 მანეთი დაიხარჯა 7,166,227,000 მან.

— **ტრამვაი.** წარსულ თვის განმავლობაში ტრამვაით უმოგზაურია 777,215 კაცს. კასსაში შემოვიდა 23,378.886,550 მანეთი. დახარჯულია 20.000.686.775 მ. მოსამსახურეებზე 12.867.583,748 მან. ესე იგი 64 პროც.

— **აბანოები.** მარტის თვის განმავლობაში ქალაქის აბანოებით უსარგებლიათ 8,9138 სულს, შემოვიდა კასაში 4,606,975,000 მან. დახარჯულია 3,486,293,000 მან. მარტო მოსამსახურეებზე—1,177,277,000 მანეთი ესე იგი 22 პროც.

ქალაქის წისქვილი. წარსულ თვის განმავლობაში წისქვილს დაუფქვია 11.341 ფუთი ქვილი. კასაში შემოვიდა 552.796,000 მან. დაიხარჯა 427,422,000 მან. შტატზე 858,652.000 მან. ესე იგი 91,4 პროც.

— **ს. კაკაბეთში.** (სილნაღის მაზრა) ყაჩაღების დევნის დროს მოკლულ იქნა კაკაბეთის რაიონის კომისარი შ. ჯიკაძე.

— ამავე სოფელში მცხოვრებელი კომსომოლას წევრი დათება ოსიპოვი მოკლულ იქმნა სოფელ ჯიმათში. მკვლელი არ იცვან.

— საერთოდ მოსავალს კარგი პირი უჩანს. გლეხების აზრით არ არის სასარგებლო მოსავლისათვის, თუ წვიმები კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

— **ხაქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 22 აპრილს, დღის 12 საათზე ტფ. პოლიტეხნიკურ სასწავლებელში (ყ. დიდი-მთავრის ქ., № 70) შესდგება ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ინჟ. ბ. ბიჭინაძის მიერ შემდეგ თემაზე: „შვეიცის სახელმწიფო წყალელვისური (ჰიდრო-ელექტრონული) საადგურები“.

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 19 აპრილიდან „არფასტოში“ „მოძღვარის“ ჩვენების დროს იმღერებს არა 30 კაცი კ ფოცხვერაშვილის ლოტ-ბირობით, არამედ მხოლოდ 16 ქალ-ვაჟი ბელსკის ხელმძღვანელობით.

მუშათა ცხოვრება

მსახიობების მდგომარეობა.

საქართველოში და კერძოთ ქალაქ ტფილისში ამ ბოლო დღეებში ბევრმა ხელოვანებმა მოიყარეს თავი.

ამ ხელოვანებში არიან: დრამის და ოპერის მსახიობნი, მხატვარნი, მოცეკვავენი, მწერლები და სხ. ვინც რომ სახელმწიფო სამსახურში მიეწყოს ხომ კარგი და ვინც არა, ვაი მათი ბრალი. ათასობით ჩაწერილნი არიან შრომის ბირჟაში და მთელი თვეობით უხდებათ სამსახურის მოცდა. ამ ცდაში იგინი დიდ გაჭირვებას განიცდიან და ზოგიერთს შეძლებაც არა აქვს ტფილისიდან სხვაგან გაემგზავროს.

მაგრამ მათი მდგომარეობა არ იქნებოდა აგრე გამწვავებული, თუ ჩვენი სათეატრო ხელოვნება განთავისუფლებული ყოფილიყო იმ დაბრკოლებებისაგან, რომელნიც ეღობება ყოველ ნაბიჯზედ. ამ წერილში ჩვენ არ შევეხებით აკადემიურ დასის მსახიობთა მდგომარეობას; ამათზე შემდეგ ხოლო გვინდა მივაქციოთ ყურადღება ვისიც ჯერ არს იმ მსახიობთა მდგომარეობას, რომელნიც მუშაობენ სახელმწიფო სამსახურის გარეშე ან და სულ უმუშევარნი არიან.

მაგალითად მოინდომა მსახიობთა კოლექტივმა გამართოს წარმოდგენა, იმ დღესვე ფარდის ახდისთანავე ესტუმრებიან მათ იმ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელნიც ახდევინებენ მათ პროცენტს.

სახელმწიფო გამომცემელთა განყოფილება ახდევინებს 10 პროცენტს, წითელი ჯვარი—5 პროცენტს, დამშეულთა კომიტეტი—5 პროცენტს, პროფკავშირი—2 პრ., აფიშების გაკვრის ნების აღება—განსაზღვრული პროცენტი. ეხლა იანგარიშეთ შენობის ქირა, მუშების, აფიშის, ტანსაცმელი, გრიმი და მრავალი სხვა.

ბათომის თეატრებს გუშინდელ დღიდან დაადეს ახალი გადასახადი განათლების კომისარიატის სასარგებლოთ. ასე რომ მსახიობებს თითქმის აღარაფერი არ რჩებათ, რადგან ვერ უძლებენ ამდენ გადასახადებს.

გვახსოვს საქართველოში საბჭოთა გადატრიალების პირველ ხანებში მთავრობა განსაკუთრებერივ ყურადღებას აქცევდა სათეატრო ხელოვნებას და არა თუ ათავისუფლებდა მას ყოველნაირ გადასახადისაგან, არამედ თვით ინახავდა თეატრს და მათ თანამშრომლებს თავის ხარჯზე. შემდეგ „ნეპის“ შემოღებისთანავე თეატრები გადავიდა თავის ხარჯებზე და ამ დღიდან იწყება მსახიობის ტანჯული და მშიერი ცხოვრება, ვინაიდგან ემატება სხვა და სხვა გადასახადები და შველა კი არსაიდან.

ქალ. ტფილისში აკადემიურ წარმოდგენების გარდა, თითქმის სულ აღარ იდგმება წარმოდგენები, კონცერტები და სხ. და თუ იდგმება, მეტ წილათ დეფიციტით თავდება ზემო-აღნიშნულ მიზეზების გამო. ამ რიგათ გამოცდილი იმპრესარიორები გაურბიან წარმოდგენების ორგანიზაციას და თუ მუშაობენ იმპრესარიორები ისიც, ოროლა, რომელნიც ატყუებენ მსახიობთ და ათასნაირ აფერისტობას ჩადიან.

საბჭოთა ხელისუფლების ინტერესია ხელოვნების აყვავება და მისი მსახურთა უზრუნველყოფა, რათა მათ მთელი თავისი ნიჭი და ენერგია შეალიონ ხელოვნებას.

სათეატრო ხელოვნება უნდა განთავისუფლებულ იქნას ყოველნაირ გადასახადისაგან ან და, უკიდურეს შემთხვევაში, გადასახადი აუცილებლივ შემცირებულ იქმნას.

თეატრი დღევანდელ პირობებში და სიძვირეში ვერ მისცემს მატერიალურ დახმარებას სახელმწიფოს, პირიქით დახმარებას იგი მისგან მოელის.

ეს ჭეშმარიტებაა და ამ მდგომარეობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირმა, ბოლოს და ბოლოს, უნდა ამოიღოს ხმა ამ საგანზე და დაიცვას პროფესიონალური ინტერესები იმ მრავალ მსახიობებისა, რომელნიც ყოველდღიურათ აწყდებიან კავშირის და შრომის ბირჟის ოთახებს.

კიდევ ერთი შენიშვნა:

ხელოვანთა მუშაკების პროფკავშირმა გამოიმუშავა ტარიფი მსახიობთა შრომის დაჯილდოვების.

მაგრამ როგორც ლიტერატორთ-ჟურნალისტების ტარიფს მეტ წილად ანგარიშს არ უწევენ, ისეც მსახიობთა ტარიფსაც. მოიწვევენ მსახიობს—კავშირის წევრს სათამაშოთ და აძლევენ ორ-სამ გირვანქა პურის ფულს. მსახიობი აგონებს ტარიფს, მაგრამ მას უპასუხებენ ხოლმე: თუ არ გსურთ, სხვას მოვიწვევთ და სხ. ასე რომ ტარიფი ფაქტიურად საერთო სავალდებულო არ არის.

იმართება სამხედრო ნაწილებში წარმოდგენები, ან და საქველმოქმედო მიზნით, ან კერძო იმპრესარიოს ინიციატივით—არავის არ ახსოვს ტარიფი და უსწორდებიან მსახიობთ, როგორც მათ მოესურვებათ.

ბევრი განცხადებები და საჩივრები შემოვიდა ხელოვანთა კავშირში, უკანასკნელმაც ცალკე შემთხვევებშიაც მიიღო ზომები, მაგრამ ზომები ქალალდზე რჩება და ტარიფი კი სისრულეში არ მოყავთ.

მშიერი მსახიობი.

მუშათა ცენტრალური კლუბი. გაზეთ „მუშაში“ დაიბეჭდა რამოდენიმე წერილი მუშათა ცენტრალურ კლუბის შესახებ. წერილების ავტორნი ჩივიან, რომ აღნიშნულ კლუბში აღარ იმართება ქართული წარმოდგენები, ლექციები და სხ. იმ დროს, როდესაც სომხურ და რუსულ დრამატიული წრეები მუშაობენ სისტემატიურად.

აკადემიურ წლის დასაწყისში ცენტრალურ კლუბთან არსებობდა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ყოველ ხუთშაბათობით მართავდა წარმოდგენებს. პიესები იდგმებოდა მოუმზადებლად, მხატვრული მხარე სრულიად არ იყო დაცული და სხ. და მთავარი მიზეზი ის იყო, რომ წრეს არ ყავდა გამოცდილი ხელმძღვანელი-სპეცი. ასეთმა წარმოდგენებმა ჩვენ მუშურ აუდიტორიას მოაბეზრა ცენტრ. კლუბის თეატრი და უშნოთ დადგმულ პიესებს ამჯობინა სახალხო და რუსთველის თეატრები. ბოლო ხანს ქართული წარმოდგენები მიდიოდა დაცალიერებულ აუდიტორიის წინ, რა თქმა უნდა, ამ გარემოებამ უფრო შეუწყო ხელი ქართულ დრამატიულ წრის დაშლას.

ამ ჟამად გადის მართლაც თვეები და ქართულ წარმოდგენების ხსენებაც კი არ არის. აღარ იმართება არც ლექციები, საღამოები, კონცერტები და სხვა.

მთავარი ბრალი ედება გამგეობას. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პროფესიონალი მსახიობნი წინადადებას აძლევდნენ, რათა ეთავად დრამატიულ წრის ხელმძღვანელობა, მაგრამ პასუხი იყო:

ჩვენ არ გვინდა მსახიობნი, ჩვენ ვქმნიდ ... დრამატიული წრე, არ გვაქვს ფული და სხვა.

წარმოიდგინეთ მსახიობებს კერძოთაც კი აღარ აძლევდნენ თეატრის შენობას. „როგორ შეიძლება ერთ თეატრში ორი ქართული დრამატიული წრეო“, თუმცა ეს ზნე სახალხო სახლსაც სჭირს.

ეს იმ დროს, როდესაც რუსის და სომხურ დრამატიულ წრეებს ყავთ გამოცდილი მსახიობნი რეჟისორებად და ხშირად პასუხისმგებელ როლებს ასრულებენ მსახიობნი; ამითი აიხსნება, რომ მათ წარმოდგენებს აუარებელი მშრომელი საზოგადოება ესწრება და დაკმაყოფილებულიც არის მხატვრული შესრულებით. რით აიხსნება გამგეობის ქართველ წევრების ამნაირი ზოგადი შეხედულება ხელოვნებაზე, არ ვიცით. განა არ შეიძლება, იგივე სარეოლიუციო რეპერტუარი დაიდგას უფრო მომზადებულათ და მხატვრულად? მართალია მუშებს დიდი სურვილი აქვთ ემსახურონ მშობლიურ ხელოვნებას, მაგრამ ყველგან და ყოველთვის საჭიროა მეცადინეობა, მით უმეტეს იმნაირ რთულ დარგში, როგორ სცენაა.

ამის შესახებ პრესსაში ბევრჯელ ყოფილა დაბეჭდილი წერილები, მაგრამ გამგეობას როგორც ეტყობა ყურადღებაც კი არ მიუქცევია და ქართულ წარმოდგენების საკითხი, როგორც საქმიდან სჩანს გადაუდვია მეორე რიგში.

საქმე რომ გამოსწორდეს აუცილებლივ საჭიროა მიღებულ იქმნას შემდეგი ზომები: 1) დაარსდეს მუდმივი ქართული დრამატიული წრე მუშებისაგან, ოღონდ პასუხის მგებელ როლების ასრულებაში კი მოწვეულ იქნენ პროფესიონალური მსახიობნი, 2) წრის ხელმძღვანელათ აუცილებლად მოწვეულ უნდა იქმნენ გამოცდილი მსახიობი, 3) გამრავალფეროვანებულ იქმნას რეპერტუარი, 4) წრის წევრებისაგან მეტი პასუხისმგებლობა და ენერგია, 5) დაარსდეს მართლაც დრამსტუდია მუშებისათვის და არა ფიქტიური, როგორც დღემდე იყო, 6) მოწვეულ იქმნან ქართველი ლექტორნი სისტემატიურ ლექციების წასაკითხავად და სხ. ესე იგი მოწყობილ იქმნას ხელოვნების და სამეცნიერო-კულტურული ორგანიზაცია იმ ფარგლებში, როგორც რუსულ და სომხურ წრეებში. ძალები არის საჭიროა მოწვევა და პრესისთვის ანგარიშის გაწევა.

ამას მოითხოვს ქართველი მუშა, იგივე წევრი აღნიშნულ კლუბისა.

ქართლელ-იმერელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

კომუნისტების პროცესი ამერიკაში. სეინტ-ჯოზეფში ამ ჟამად ხდება სენსაციური კომუნისტური პროცესი. პასუხისგებაში არიან მიცემულნი მუშები, ამერიკული მუშათა (კომუნისტური) პარტიის წევრები, რომელთაც ბრალს სდებენ მიტინგის მოწყობაში, რომელზეც იხილავდენ ამერიკაში არსებულ წესწყობილების დასამხობ ზომებს. ეს პროცესი უდიდეს ყურადღებას იქცევს ამერიკის ფართო წრეებისას, რადგან ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც კომუნისტებს მოუხდათ სასამართლოში იმის მტკიცება, რომ კლასობრივ ბრძოლას არაფერი საერთო არა აქვს ანარქიზმთან, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული კონსტიტუციის ის მუხლები, რომელზეც არის მითითებული ბრალდებაში. ამის გარდა ამ პროცესმა უნდა გამოარკვიოს კომუნისტური პარტიის ლეგალური არსებობის შესაძლებლობა ამერიკაში ან და აუცილებლობა იატაკ ქვეშ ჩასვლისა. პროკურორის დიდი გაკვირვება გამოიწვია მან, რომ ყველა ბრალდებულები, ისინიც კი, რომელთა დაჭერაც ვერ მოხერხდა, თავისი ნებით გამოცხადდენ სასამართლოში. ბრალდების წარმომადგენელი ჩარლზ გორიმ, თავის სიტყვაში განაცხადა, რომ კომუნისტები სცდილობენ გავლენა იქონიონ ნაფიც მსაჯულებზე და მათ დაუგზავნეს სპეციალურათ გამოცემული ბროშიურები, რომლებშიც აღნიშნული არის, რომ კომუნისტების პროცესი შექმნილი არის პროფესიონალურ აგენტებისა და პროვოკატორების მიერ, რომლებიც მთავრობის სამსახურში იმყოფებიან. ამას გარდა ამ ბროშურაში აღნიშნული არის, რომ ეს პროცესი ილიუსტრაცია არის ამერიკაში სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების არ არსებობისა. ბრალდებულთა დამცველმა ფრანკ უოლშმა წაიკითხა ადგილი ამერიკულ კონსტიტუციიდან იმ მიზნით, რათა დაემტკიცებია, რომ მთავრობის „დამხობა“, რომელსაც თითქოს ცდილობენ კომუნისტები, რევოლიუცია არ არის, რომელსაც ასე უფრთხის მიჩიგანის შტატის ანტისოციალისტური კანონი. პროცესი რამოდენიმე კვირით გრძელდება. ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ისინი თავის ნებით გამოცხადდენ სასამართლოში არა იმიტომ, რომ ამერიკული პოლიციის დევნის შეეშინდათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი დარწმუნებული არიან მასში, რომ მუშათა მოძრაობა ამერიკაში იმდენათ მძლავრია, რომ ის შეძლებს თავისი აზრის გამოთქმის თავისუფლებას მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებ[illegible]

ფაშისტების ხაქმიანობა. ფაშისტური ორგანიზაციის არსებობის ოთხი წლის თავის გამო, ნაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა მდივანმა სიტყვა წარმოსთქვა მილიანში, რომელშიც აღნიშნა მუსსოლინის მთავრობის პროგრამა: მან განაცხადა: ყველანი გრძნობენ, რომ ფაშისტურმა მთავრობამ გააუმჯობესა იტალიის მდგომარეობა. ეკონომიური მდგომარეობა უკვე აღარ იწვევს შეშფოთებას. ფინანსთა მინისტრი გარანტიას იძლევა. ბიუჯეტი წონასწორობისას წელიწად-ნახევრის განმავლობაში არავითარი გაფიცვა და ექსცესი არ არის მოსალოდნელი. სპორადიული გაფიცვების ლიკვიდაციას დაუყოვნებლივ ხდება. მოპკვიანდა პარლამენტის დეპუტატები დარწმუნდენ თავიანთ შრომის უნარიანობაში და მთავრობას ფართო რწმუნებანი გადასცეს. ყოველივე ამის შედეგი არის არმიის ფლოტის აღორძინება და საჰაერო სამხედრო ძალების რეკონსტრუქცია. წლის ბოლომდე დამზადებული იქნება ათასი ჰაეროპლანი.

ფაშიზმი ესპანეთში. ესპანეთში აღორძინდა ფაშისტური ორგანიზაცია, რომელსაც მიზნათ აქვს „კერძო კაპიტალის დაცვა კომუნისტებისაგან“.

პატარა ფელეტონი

„შენ სჯობიხარ ცხონებულსო“

ქალი გულით მოწადინებული იყო, რომ უეჭველად მას წაჰყოლოდა ცოლად. რადგანაც ვაჟი ძალიან მოსწონდა. განა რომ ვაჟი მოსაწონი იყო!.. ლამაზი, ახოვანი ახალგაზრდა.

ქალს ნატვრა აუსრულდა. ვაჟმა შეირთო, ქალის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. კმაყოფილი იყო, მხიარული! მათი ცხოვრება ასე ტკბილად მიმდინარეობდა კარგა ხანს, მაგრამ განა ეს წუთი სოფელი დიდხანს გაახარებს ვისმე! ქალს უბედურება დაატყდა და მისი გულის სატრფო ახალგაზრდა ქმარი ავადმყოფობამ იმსხვერპლა, სიცოცხლეს გამოასალმა. განუსაზღვრელი იყო ქალის მწუხარება, ენით გამოუთქმელი... მრავალი ცრემლი აფრქვია ქმრის ცხედარს და მწარედ მოსთქვამდა. ქალი მძიმე ძაძებით შეიმოსა და აღთქმა დასდო, რომ თავის სიცოცხლეში აღარ გათხოვდებოდა. ქალმა ქმრის საფლავის გვერდით ნაჭერი მიწა იყიდა, დამწუხრებულმან სიცოცხლეშივე განიმზადა სამარე...

დრო გადიოდა, ქალის კაეშანს კი დასასრული არ ჰქონდა. როდესაც ერთხელ ახლო ნათესავებმა ქალს გათხოვება ურჩიეს, რათა მის მწუხარებას ბოლო მოღებოდა, ქალს მეტად ეწყინა. აღელდა, და ცრემლების ფრქვევით მიუგო, რომ გათხოვება არა სურს, საყვარელ ქმრის ხსოვნას არ უღალატებს თავის სიცოცხლეში. და სთხოვა, აღარ გაემეორებინათ ასეთი რჩევა.

ქალმა ქმრის პატარა სურათი გაადიდებინა და დიდი „პორტრეტი“ კარგ ჩარჩოში ჩასხული თავის ოთახში ჩამოკიდა; ქმრის ბეჭედი თავის თითზედ გადააკეთებინა ოქრომჭედელს და ნიშნად ქმრის ღრმა სიყვარულისა და პატივისცემისა თავის რგოლთან ერთად ატარებდა თითზედ.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, აღდგომის მოახლოებისას, ქალი თავისი ხელით აგურსა ხეხავდა სამზარეულოში, რათა ქმრის საფლავზე მოეფინა, და მომავალ აღდგომისათვის ქმრის საფლავი გაელამაზებინა. დიდ ხუთშაბათს საფლავზედ გაზაფხულის ლამაზ ყვავილები დაარგვევინა, აგური მოაფენინა და მორთო საყვარელი ქმრის საფლავის,..

თითონაც აღდგომის ორშაბათს აპირებდა იქიან საფლავზედ მისვლას, რათა ჩვეულებისამებრ საფლავი ეკურთხებინა: მართლაც აღდგომის ორშაბათს კოპწიათ ჩაცმული, შავებში გამოწყობილი ქალი, რომელსაც ქმრის სამარეზედ სანთლები დაენთო, ტიროდა და ცრემლებს აბრქვევდა ქმრის სამარეს. საფლავი აკურთხებინა და გულდათუთქულმა ნაღვლიანად ვამოსწია სახლისკენ. ოთხშაბათს ქალს სოფლიდან ძმა ჩამოუვიდა. ხუთშაბათს ძმამ სიძის ოჯახზე მყოფთ გამოუცხადა, რომ და სოფელში მიჰყავს. ყველა გაკვირვებული იყო; ვერ გაეგოთ ქალის ასე მოულოდნელად წასვლის მიზეზი; მით უმეტეს რომ საამისოთ არავითარი პირობები არ იყო ამ ჟამად!. პარასკევს ქალმა მოამზადა და მაფრაშაში ჩაალაგა ყველაფერი, რაც კი ჰქონდა, ტანისამოსი, ლოგინი, საფენები, ნივთები, სუფრები, ჭურჭლეულობა,—ერთი სიტყვით მთელი ოჯახის მოწყობილობა, წარმოიდგინეთ სარეცხის თოკზედ დასამაგრებელი „შპილკებიც“ კი არ დავიწყებიყო!. ყველა ესენი გაამზადა კალათებში წასაღებად, ნასადილევს ძმამ მუშა მოიყვანა და ბარგი წააღებინა სახლიდან. ქალის მოხუცი დედამთილი ვერ გამორკვეულიყო და ამ მოულოდნელ ამბით თავზარდაცემული მწარედ სტიროდა. იგი თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი ერთგული რძალი თავს დაანებებდა და ბიატოვებდა მოხუცებულობის ჟამს...

მხოლოდ დალამებისას, როდესაც ქალი წავიდა სახლიდან, გაიგო მეზობლისაგან, რომ რძალი თხოვდებოდა და მეორე ქმარს მიყვებოდა აქვე—ქალაქში!. შაბათს ღამით ერთს მიყრუებულს საყდარში ქალმა უჩუმრა ჯვარი დაიწერა.

და იმ ორშაბათის სწორზედ, როდესაც მწუხარე ქალი, საყვარელ ქმრის საფლავზედ ცრემლებს აფრქვევდა, ახალი ქმრის ოჯახში დილის ჩაიზედ, როდესაც საუზმეს შეექცეოდენ, სიხარულით შესტრფოდა ახალს „გულის მურაზს“ და ნეტარის გრძნობით თავისთვინ გულში ამობდა, „შენ სჯობიხარ ცხონებულსო“...

ოღონდაც!.

მხოლოდ საინტერესოა ამ ქვრივი ქალის რომელი ცრემლები იყო უფრო ნამდვილი და გულწრფელი?!. როდესაც ქმრის ცხედარს დასტიროდა, როდესაც გათხოვება ურჩიეს, თუ როდესაც ამ გათხოვების ერთი კვირით ადრე ქმრის საფლავზედ აფრქვევდა?). ეს საიდუმლო ალბად ქალებმა თუ

ვ. ბუთლიაშვილი.

საუგარი გლეხთან

თვის ბოლოკი.

თბილ ადგილებში ბოლოკი ითესება თებერვლის ბოლო რიცხვებიდან.

საჭიროა ნიადაგი განოყიერებული იქნეს საქონლის გადამწვარ ნაკელით, ვინაიდან ახალი ნაკელი ბოლოკს უჩენს თეთრს მატლებს გულში.

ნიადაგი შემოდგომითვე უნდა დაიბაროს; გაზაფხულზე ხელმეორედ უნდა დაიბაროს, შემდეგ გაითოხნოს და უნდა გაუკეთდეს კვლებიც.

კვლები უნდა იქნეს სიგანით არშინ-ნახევარი, რომ ადვილად შეგვეძლოს მორწყვა.

შემდეგ უნდა დაითესოს ბოლოკი.

ბოლოკის სქლად დათესვა არ ვარგა.

თუ გვინდა, რომ ბოლოკმა კარგი თავები გაიკეთოს, მას არ უნდა მოაკლოთ სინესტე. ამისათვის ბოლოკი ხშირად უნდა ირწყვებოდეს, და თუნდ დილით ან საღამოთი.

ბოლოკის ადრე მოსაყვანად საჭიროა, თესლი შევინახოთ ტილოში და ღლეში ოთხჯერ ხუთჯერ ამოვავლოთ ნელ-თბილ წყალში და შემდეგ უნდა შევინახოთ თბილ ადგილზე.

ამ წესით მომზადებული თესლი შეგვიძლია დავთესოთ სამი-ოთხი დღის შემდეგ.

ბოლოკს ხშირად უჩნდება შავი, მოგრძო ... რომელიც ძლიერ აზიანებს ბოლოკს.

საწინააღმდეგოთ შეგიძლია ავიღოთ კირ[illegible] ნახორკის ფქვილი, გაცრათ და მოაყაროთ ბოლოკს

ან მოეხარშოთ მახორკა და მისი წვენი მოასხურონთ ბოლოკს.

სათესლეთ უნდა ამოვარჩიოთ კარგი და მსხვილი ძირები.

როცა თესლი დამწიფდება, მაშინ პარკები უნდა დავბეგოთ და გავანიავოთ, რომ თესლი მოვაცილოთ ნაქურჩას. სათესლე ინახება მშრალ ადგილას. ბოლოკის თესლი სძლებს ხუთ წელიწადს.

(„მიწის მუშა“).

იონა შენგელია.

ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲬᲘᲚᲨᲘ

სოფელ კალაურში 5 აპრილს მიწას მიაბარეს ნიკა ბაციაშვილი. ეს იმ ადამიანთაგანი იყო, რომელიც ძალიან ცოტას ლაპარაკობენ, ბევრს კეთილ საქმეს აკეთებენ ღარიბ-ღატაკთათვის და ქვრივ-ობოლთათვის.

ვინ იყო ნიკა. სოფელ კალაურის ღარიბ-ღატაკი გლეხის შვილი, რომელიც სოფლის გაჭირვებას გამოეგდო ქალაქათ. ერთ დროს მსახურობდა კახეთის საზოგადოების სარდაფში ბოთლების მრეცხავად. 1912 წელს გაფიცვაში მონაწილეობის მიღებისთვის არხანგელის გუბერნიაში გადაასახლეს ნიკოლოზის ჟანდარმებმა, დიდი წვალების შემდეგ გამოიპარა იქიდგან და როგორც იყო მოაწია ტფილისში.

მას ჩემთვის ხშირათ უთქვამს რომ ჩემმა ამხანაგებმა, რომლებსაც იმ ჟამათ ღვინის სარდაფი ჰქონდათ საღათის ბაზარში ახლოც არ მიმიკარესო იმის შიშით, რომ ნიკოლოზის ჟანდარმერია გაგვიგებს შენ აქ ყოფნას და ჩვენც შენთან ამოგვაყოფინებს თავს შორეულ ციმბირშიო. რამტენიმე ღამე გულმოკლულმა ნიკამ ამ სტრიქონების დამწერთან გაატარა სხვისი პირადობის მოწმობით.

ნიკა წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი იყო, მაგრამ ჭკუა-გონება დაფიქრებული. როგორც დინჯ მოხუცს ის მაშინ გრძნობდა სიამოვნებას როცა გაჭირვებას შეუმსუბუქებდა ვინმეს.

ამ ხანათ მას ჰქონდა ბაყალხანაში საჩაიე, რასაც შოულობდა არ ივიწყებდა გაჭირვებულებს და ყოველთვის იტყოდა ხოლმე, რომ მე იმისთვის მიყვარს გაჭირვებული რომ მე თითონ გაჭირვების შვილი ვარო.

გახდა ავათ თირკმელების ანთებით. როცა ვერაფერი უშველეს ექიმებმა, 29 მარტს მძიმე ავათმყოფი წაიყვანეს სოფელში.

3 აპრილს დილის 7 საათზე ის გარდაიცვალა და 5 აპრილს მიწას მიაბარეს.

მთელი სოფელი დაესწრო ნიკას დაკრძალვას. იყვენ სხვა სოფლებიდანაც. 5 აპრილს სოფელ კალაურში დიდი, პატარა, ქალი და კაცი ყველა ცრემლს ღვრიდა განურჩევლათ ეროვნებისა, ყველას ენანებოდა იშვიათი გულკეთილი ადამიანის დაკარგვა.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი პატიოსანო ადამიანო და სამაგალითო ქართველო.

შენი ამხანაგი **გელაშვილი.**

ᲣᲪᲮᲝ ᲡᲐᲧᲕᲘᲠᲘ

ჩვენ არ ვტირით დროს უბალისოს
და გიჟი ქარის მრისხანედ ქროლას...
ობოლი სული დაწყნარდება სამარადისოდ
და შავსა ფიქრებს მივსცემთ ონოვარს!
გაბალისდება საქართველო დღეს,
გავმართავთ ცეკვას უცხო მარშებით
და მოსცილდება შავი ლაქაც მზეს.
მის სიკეკლუცით მარად დავთვრებით.
დღეს საქართველო ბუმბერაზია.
მის ცაზე მოსჩანს ცეცხლის ფიალა!
დღეს საქართველო ცეცხლთა რაზმია
და ცეცხლის დროშაც ააფრიალა!
ჩვენ კი ვართ მარად მისი გმირები,
ფოლადის გულით, ხელებით რკინის...
და ცეცხლის ხმებით დღეს საყვირები
საქართველოში უცხო ხმით ყვირის!
... ჩვენ გვეწამება ასვლა პლანეტზე,
აღთქმის მხარეში განავარდება.
არ შეიჩერდებით არც ერთხელ გზაზე
და ჩვენი გულიც იქ დამშვიდდება!
აღთქმის მხარეა ჩემი ოცნებაც,
ოცნების ბოძი კი საქართველო.
ობოლი სული არ დამონდება,
ნანჯღრევი გული მსურს გავამთელო!
საქართველო დღეს ტაძარი არის
და ამ ტაძარში თქვენ ხართ ხატები,
რომლის გარშემო ურწმუნნო კნავის
ვით დამშეული მინდვრის კატები!
... ამ ტაძარს ჩემი ოცნება უვლის,
ოცნება მარად ფრთა მოტეხილი,
რადგანაც ძარღვი, დღეს, ჩემი გულის
დართვილულია და მიფერფლილი.
ტაძრის ხატებო! თქვენ შეიბრალეთ
გზადაკარგული ჩემი ოცნება!
მიეცით საზრდო და ანუგეშეთ,
მარადის იგი თქვენ გეზონება!

მიშა ბერიძე.

ᲛᲪᲘᲠᲔ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

(ფინანსთა უწყების ყურადსაღებად).

ქალაქის საგადასახადო ნაწილებში ამ ბოლო ხანებში მეტად ნერვიული მუშაობა წარმოებს საერთო სამოქალაქო გადასახადის სიების წარდგენის გამო. ყველა ნაწილში შტატი გაძლიერებულია დროებითი თანამშრომლებით, კარ-და-კარ სიების ბლანკებს ურიგებენ, უხსნიან, თუ როგორ უნდა შეივსოს ეს ბლანკები, აფრთხილებენ—დაგაჯარიმებთ, თუ დროზე არ შემოიტანეთო.

ცხადია, მუშაობა წარმოებს, მოქალაქენიც ჯარიმის შიშით მრავლად მიაწყდნენ საგადასახადო ნაწილებს და შეჰქმნეს იქ ეგრეთ-წოდებული „კუდები“ ჯერში ჩადგომით.

ზოგიერთ უბანში მეტად ახირებული ჯერია, მაგალითად, მეათე საგადასახადო ნაწილში, რომელიც მეცხრე სამილიციო უბანს განაგებს, თუ საგადასახადო სიის ბლანკი რუსულად გაქვს შევსებული, შეგიძლიან რიგ-გარეშე მიბრძანდე დაწესებულების შენობაში, შეამოწმებინო, მიიღო ქვითარი და გაბრუნდე შინ, ხოლო თუ ქართულად გაქვს ასეთი ბლანკი დაწერილი, მაშინ ინებე ნამდვილად ჯერში დგომა, იყავ გაჩერებული ორ-სამი საათს და აუცილებლივ, გულ-გრილად უყურე იმ სურათს. ახლად მოსულნი, თუ მათ რუსულად მოისურვეს ან მოუხდათ დაწერა, დროს დაუკარგველად, მისელისთანავე, შედიან და ბრუნდებიან კმაყოფილნი შინისკენ.

რითაა გამოწვეული ასეთი პრივილეგია?—იკითხავს მკითხველი. ამ კითხვის გამოკვლევის დროს გავიგეთ, რომ აღნიშნულ ანომალიის მიზეზი შტატის მიზანშეუწონელი განაწილებაა: მიუხედავად იმისა, რომ ეს უბანი ყოველთვის მეტწილად ქართველობით იყო დასახლებული და ეხლაც, მაშასადამე, სიებს ქართულადვე შეადგენდნენ, მაინც რატომღაც შტატში მოუწვევიათ ისეთი ხალხი, რომელმაც ქართული არ იცის. ხუთ კონტროლიორში ოთხი ქართულის უცოდინარი აღმოჩნდა და მარტო ერთი ქართველი, რომელიც მეტის-მეტი მუშაობისაგან წელში წყდებოდა, ხოლო დანარჩენი ოთხი მისი ამხანაგი კი უსაქმოდ ისხდნენ და ავანსებზე ლაყბობდნენ.

კიდევ ერთი დეტალი: ერთად-ერთ ქართველ კონტროლიორს შიგა და შიგ მუშაოშის დროს სხვა საქმეებსაც აკეთებინებდნენ, მაგალითად, ათარგმნინეს ავანსის შესახები ტელეფონოგრამა, რადგან ქართულის მცოდნე მის გარდა სხვა არავინ არ იყო იქ.

ასეთი მიზანშეუწონელი და საქმისათვის შეუფერებელი განაწილება შტატისა იმის გარდა, რომ საქმესაც აფერხებს, იქ, ჭერში მდგომ, საათობით მოლოდინე მოქალაქეთა შორის სამართლიან უკმაყოფილებას და გულისწყრომას იწვევს. ზოგი კიდეც ლოდინით გულგაწვრილებული ჩიოდა: ნეტა მცოდნოდა, რუსულად დავაწერინებდი და აქ აღარ მოვიჭანცებოდი—ლოდინითო... საჭიროა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

B.

ᲐᲛᲮ. Მ. ᲢᲝᲠᲝᲣᲨᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

(წარმოთქმული საქართველოს მთლიან სამხ. კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობაზე).

ამხანაგებო! ჩვენ პოლიტიკურმა ბატონობამ მოგვიწვია აქრე, ჩვენ ვიბრძვით ორ ფრონტზე: ერთი ხელით ვანგრევთ, მეორეთი ვაშენებთ.

ამიტომ ჩვენი მიზანია ერთის მხრივ დავსწიოთ ჩვენი ჩამორჩენილი მეურნეობა კულტურულ ქვეყნებთა მეურნეობებს და მეორე მხრივ შევინარჩუნოთ აქ ის ხელისუფლება, რომელიც სისხლით და ბრძოლით მოვიპოვეთ. მტერმა დაგვიტოვა მეურნეობის ჩანასახი, თითქმის მთლად განადგურებული.

ეხლა ორ ფრონტზე გვიწევს მუშაობა: სამხედრო და სამეურნეოზე. ჩვენი ქვეყანა წვრილი მეურნეობის ქვეყანაა და როგორც ასეთში კოოპერაციას განსაკუთრებრივი მნიშვნელობა აქვს. იმპერიალისტურ ომამდი და მერეც საქართველოში კოოპერაცია გაიზარდა, მაგრამ იგი მაინც ვერ იყო სანუგეშო მდგომარეობაში, რადგანაც მაშინდელი მთავრობები მეტ დახმარებას უწევდნენ კერძო კაპიტალს და კოოპერაციისადმი კი უკეთეს შემთხვევაში გულგრილათ განწყობილნი იყვნენ. კოოპერაციას სხვათა შორის ახასიათებს ტენდენცია კაპიტალთან ბრძოლისა და მეორეს მხრივ კოოპერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვილი მეურნეობის შექმნის საქმეში.

ჩვენი გლეხი პირველ ყოფილ მდგომარეობაშია. იგი დღეს ისევ მამა-პაპეული თოხით და გუთნით სცხოვრობს. ცნობილია თქვენთვის, რომ ჩვენში ბევრი ღვინო მოდის, ყოველ გლეხს აქვს თავისი ვენახი, ამისათვის საჭირო იარაღი, იგი ცალკე მუშაობს და ცალკე ყიდის.

ჩვენი ქვეყინა მეაბრეშუმეობის ქვეყანაა. მარტო აბრეშუმის პარკი ჩვენში იყიდება 120 ათასი ფუთი ე. ი. 2 ნახევარი სამი მილიონი მანეთი ოქროზე. აქედან გაითვალისწინეთ, რომ ამ სიმდიდრეს აქვე ვამუშავებდეთ, რამდენათ მოგებული ვიქნებით. ჩვენში გარდა ამისა კიდევ მოიპოვებიან სიმდიდრენი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით მათი მოვლა. აი ამიტომ, როგორც ზევით ვსთქვი კოოპერაციას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ტფილისში არის სხვა კოოპერატივებიც. მუშათა და სხ ბოლოს და ბოლოს უნდა გაერთიანდნენ ყველა კოოპერატივები და შექმნან ერთი მძლავრი ორგანიზაცია, რომელიც იქნება სტიმული ჩვენი ეკონომიური მოღონიერებისა. ამხანაგებო! საჭიროა სიძლიერე სამხედრო ფრონტზე, მაგრამ არა ნაკლებ საჭიროა სიძლიერე სამეურნეო ფრონტზედაც. ჩვენ ამას შეგვაძლებინებს ჩვენი თანხმობა და თანამშრომლობა და მე მოგესალმებით, როგორც კომუნისტურ პარტიის ტენტრალური კომიტეტის და ცეკავშირის წარმომადგენელი და გისურვებთ სრულ გამარჯვებას ამ საქმეში. (ტაში).

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ.

— **დ—რი ფილხნერი.** პეტროგრადში ჩამოვიდა გეოგრაფიული საზოგადოების მოწვევით, ცნობილი გერმანელი მოგზაური და მკვლევარი დ—რი ფილხნერი. გერმანიის საელჩოს დიდ დარბაზში ფელხნერმა გააკეთა მოხსენება, რუს მეცნიერთა დასწრებით, თავისი უკანასკნელი ექსპედიციის შესახებ ვედელის ზღვის (ატლანტიის ოკეანის სამხრეთი ნაწილი) მიდამოებში. 30 კაცისაგან შემდგარმა ექსპედიციამ, რომელშიაც ნორვეგიელები და გერმანელები იყვნენ, ყინულებს შორის გაიარა 1000 კილომეტრი და ვედელის ზღვის სამხრეთით ახალი მატერიკი აღმოაჩინა.

— **ურთიერთობა იაპონიასა და ინდოეთთან.** მიმდინარე წელში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის იაპონიასა და ინდოეთში გააქვს თავის გამოცემათა მთელი რიგი, ტოკიისა და ბაბეის აკადემიების მეცნიერულ გამოცემებზე გადასაცვლელათ. პირველი პარტია აკადემიის გამოცემათა უკვე იგზავნება ვლადივასტოკით.

— **უმავთულო ტელეგრაფი ჰაეროპლანზე.** როგორც ვიცით, ჰაეროპლანებზე გამოყენებული არის უმავთულო ტელეგრაფი. ყოველ ჰაეროპლანზე პილოტის განკარგულებაში არის აპარატი უმავთულო ტელეგრაფით ცნობების მისაღებათ და გადასაცემათ; პირველ რიგში ეს აპარატები გამოყენებული არიან სიგნალებათ საშიშროების დროს. ჰაეროპლანით მოგზაურობის განვითარების გამო ეს აპარატები გამოყენებული არის მგზავრთა კერძო საჭიროებებისთვისაც. უკვე კარგა ხანია მგზავრებს საშვალება აქვთ ისარგებლონ ამ აპარატით კერძო ცნობების გადასაცემათაც. ახლა, „მანჩესტერ გარდიანის“ ცნობით, უმავთულო ტელეგრაფის აპარატებმა სასარგებლოს სასიამოვნოც დაურთეს. მათი საშვალებით გადაიცემა უკანასკნელი საბირჟო და სასპორტო ახალი ამბები და მთელი კონცერტებიც კი. ასეთი უმავთულო კონცერტი პირველათ მოაწყვეს იმ ჰაეროპლანზე, რომელსაც რეგულიარულათ გადაყავს მგზავრები კრეიდონ-ბრიუსელ-კელნის ხაზზე. აპარატი, რომელიც საკონცერტო ნომრებს იღებს, პატარა ყუთისაგან შესდგება. ასეთი ყუთების მოწყობა რასაკვირველია, არა მარტო ჰაეროპლანებზე არის შესაძლებელი, არამედ ავტომობილებზე და სხვა მოძრაობის საშვალებებზეც.

— **რა არის დაღლილობა.** ამ საკითხს იხილავს „ლაიპციგერ ილლუსტრირტე ცაიტუნგში“ დოქტორი რუდოლფ შულცე და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მუშაობის დროს კუნთებში ჩნდება დაღლილობის განსაკუთრებული საწამლავი, რომელიც ამცირებს ორგანიზმის შრომის უნარიანობას. ცნობილმა მეცნიერმა ფიზიოლოგმა ვეიხარდტმა ეს საწამლავი მონახა ზღვის ღორების კუნთებში, რომელსაც მან უწოდა „კენოტოკსინი“. შემდეგ ამ მეცნიერმა კენოტოკსინი ხელოვნური გზით მოამზადა. კენოტოკსინი რომ შეუშხაპუნოთ სავსებით საღ, უმუშევარ ცხოველს, მაშინვე გამოჩნდება დაღლილობის სიმპტომები, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ საწამლავის მინიმალური დოზის შეშხაპუნების დროს ცხოველებში, არა თუ ჩნდება დაღლილობის ნიშნები, არამედ პირიქით, ისინი უფრო შრომის უნარიანნი ხდებიან. ამრიგათ, მეცნიერებს ახლა საშვალება აქვთ შეუდგენ დაღლილობასთან ბრძოლის საკითხის მეცნიერულ გადაჭრას. ცდები ამ მხრივ გაკეთებულ იქნა არა მარტო ცხოველებზე, არამედ ადამიანებზეც, ანტიკენოტოკსინების საშვალებით, რომელთაც ხან უშხაპუნებენ ორგანიზმში და ხან ოთახის ჰაერში ავრცელებენ და ამრიგათ გავლენას ახდენენ ამ ოთახში მომუშავე ადამიანებზე. ასეთი ცდები იქნა გაკეთებული, მაგალითად, მთელ რიგ პირველდაწყებით შკოლებში და შემჩნეულ იქნა, რომ ბავშები ანტიკენოტოკსინებით გაჟღენთილ ბინებში ისე ჩქარა არ იღლებიან, როგორც სხვა კლასებში.

— **პომპეის ახალი ნაწილის აღმოჩენა.** პომპეაში აღმოჩენილ იქნა ქალაქის ახალი ნაწილები, რომელიც დაღუპულ იქნა, როგორც ვიცით, ვეზუვის ამოხეთქის დროს. გათხრის მწარმოებელ მეცნიერების სიტყვით, ქალაქის ახლად აღმოჩენილი ნაწილები თავისი სილამაზით პომპეის იმ ნაწილებზე მაღლა დგანან, რომლებიც უკვე კარგა ხანია ცნობილია მთელი ქვეყნის ტურისტებისათვის. ახალი აღმოჩენანი შესაძლებლობას იძლევიან რომის სახლთმშენებლობასთან კარგათ გაცნობისას. განსაკუთრებით კარგათ არის შენახული პომპეის ახალ ნაწილებში ბაღები შადრევანებით, რომლებიც სახლებშია გაშენებული. ამ დღეებში ეს ახლად აღმოჩენილი ნაწილები პომპეისა გახსნილ იქნება კერძო ხალხისათვის სანახავათაც.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ

ხალამო ტოფანის. 13 აპრილი. სახელმწ. მე-2-რე კონსერვატორია. გაიმართა „ხალამო ტოფანის“.

აფიშებში და გაზეთებში გამოცხადებული იყო (...პირველად საქართველოში „ხალამო ტოფანის“...) მოლოდინი გაცრუვდა.

არ ვიცი რას მიეწერება ეს მოვლენა?

ხალამოს ჰმართავდნენ ახალგაზრდები და მგონია, სათავე ყოველივე ამისა უსათუოდ იმალება აქ.

ახალგაზრდას, ესაჭიროება გამხნევება და წაქეზება, არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ასეთი ხალამო საქაროველოში მართლაც პირველია უჩვეულო მარცხით.

მართალია მეტად სიმპატიური მოვლენაა, რომ ახალგაზრდებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი მუშაობას ამ სფეროში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა უსათუოდ მეტი სიფრთხილითა და პატივისცემით მოპყრობა პოეზიისადმი, რადგანაც ეს მისტიური ხედვა ყოველი ჭეშმარიტი პოეტისა მსოფლიოზე არის მეტად ფაქიზი და კეთილშობილი.

მინდა აღვნიშნო რამდენიმე დეფექტი.

ხალამო იწყება 10 საათზე. დარბაზი სრულებით მოურთველია. კედელზეე გაყოლებულია ერთ ზოლად გირლიანდა. ესტრადაზე კუთხეში როიალთან ფერადი ქაღალდებია დაფენილი. სულ წინ ტოფანის სურათი პიუპიტრზე ჩამოკიდული და გარდა ამისა სამიოდე ფერადი პატარა ლამპრებით ელექტრონისა. ამის მაგივრად, რომ ერთგვარმა დეკორატიულმა მორთულობამ დარბაზისა, თავისი სილამაზით ესთეტიურად გასიამოვნოთ, ვხვდებით სრულ კონტრასტს და საშინელ ანტიესტეტიზმს. გამოდიან სამნი—ტოფანისტები და მოკლე სიტყვებით მიმართავენ ტოფანს. ერთი მათგანი მანიფესტით(?)გამოდისდ დამსწრეს უნებლიეთ ლექსიკონი წარმოუდგება თვალწინ. ხალამო მხატვრულ-მუსიკალურია ? მანიფესტი აქ არაფერ შუაშია. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ხალამო გამოფენის ხასიათს მიიღებდა და „ხალამო ტოფანის“ უკვე ზედმეტი ხდებოდა. მეორე გამოსვლა შედარებით პირველთან იგებს. კარგი იყო როიალის აკომპანიმენტი ლექსებისათვის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დ. ანთაძე ძალიან ჩუმი ხმით ჰკითხულობდა და თითქმის არაფერი ისმოდა. არ მესმის რა შუაში იყო ტოფანისტებთან ერთად ამ გამოყოფებში რომ, მოექცა ერთი სრულებით უცხო ამ ჯგუფისათვის ქალიც. სასიამოვნო იქნებოდა, რომ (უჩინარ) გ. რაზმაძესაც თავისი ლექსები წაეკითხა.

გარდა ამისა კომედიის შთაბეჭდილება დასტოვა იმ სურათმა, როდესაც ესტრადაზე შემოვიდა დარაჯი ცოცხით ხელში და იატაკზე წყალი მოასხურა. შემდეგი ნომერი ბალეტის დიდი დისონანსით იჭრება ხალამოს განზრახულ პროგრამაში და ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. ცეკვა სრულებით შეუფერებელი აღმოჩნდა „ტოფანისათვის“ ხალამოს პროგრამაში შედიოდა აგრეთვე მეტად საინტერესო ნომერი „ცხოვრება მარად ტრიალში“, რომლის სახეობა იყო სცენა-მიმიკა. ამ ნომერს ესაჭიროებოდა მეტი დაკვირვება და სერიოზულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გამასხარავდებოდა და ასეც მოხდა; ბრალია მოუმზადებლობის.

„ტოფანის ხალამოზე“ ფიგურალური როლი უნდა ეთამაშა ორკესტრსაც ალ. გველესიანის ხელმძღვანელობით. უნდა მოსულიყვენ აგრეთვე ჩვენი სახელმწიფო ოპერის მომღერლებიც. იმედი გაცრუვდა.

მეტი დაკვირვება და წინდახედულობი.

ლეაი.

გამოხათხოვარი ბენეფისი მსახიობ ალექსანდრე ინაშვილისა. სახელმწიფო ოპერის მსახიობი მოქ. ინაშვილი თავის გამოსათხოვარ ხალამოს გამოვიდა გრაფ სკარპიოს პარტიის აღმსრულებლად პუჩინის ოპერაში „ფლორია ტოსკა“, ამ პარტიის ასრულების შესახებ მომღერლის მიერ მე უკვე გამოვსთქვი ჩემი აზრი „ტრიბუნას“ ფურცლებზე. ცხადია, რომ მსახიობ ინაშვილს კიდევ ბევრი უმუშავნია სკარპიოს პარტიაზე. ამ ხალამოს მის მიერ უკეთ არის როლი შესწავლილი და გაგებული. დახასიათება იმ პიროვნებისა, რომელიც წარმოადგენს რომის პოლიტიკურ პოლიციის უფროსს და რომელიც მთელ რომს „შიშს გვრის და ზიზღს იწვევს“ თავისი სისასტიკით არც ისე ადვილია. ამ ხალამოს ინაშვილის მიერ ეს ძნელი პარტია იყო ასრულებული უფრო დამშვიდებული, ცივად და მასთან, ერთად, მაყურებელს არ შეეძლო არ ეგრძნო გრაფის რკინის ნებისყოფა და სასტიკი, შეუბრალებელი ბოროტება. განსაკუთრებით, კარგი იყო მოქ. ინაშვილი მეორე აქტში, სადაც საკმაოდ ძნელი პარტია ჩინებულად იქმნა მის მიერ შესრულებული. საერთოდ ინაშვილი ნიჭიერი მსახიობია და მისი იტალიაში გამგზავრება ბევრს რამეს წარმატებს, განსაკუთრებით. ვოკალურ მხარეში. ძალიან კარგათ ჩაატარა თავისი პარტია მოქ. ალეშკომ. მსახიობს დიდებული ხმა აქვს და მის მიერ ლოკკის შესრულებამ მეორე მოქმედებაში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. მოქ. სარაჯიშვილს თავისუფლად შეუძლია, ჩასთვალოს მარიო კავარდოსის პარტია თავისი, ისედაც დიდ, საოპერო რეპერტუარის საუკეთესო ნიმუშად. ლირიკული ადგილები, განსაკუთრებით მომღერალის მიერ ჩინებულად იქმნა ასრულებული. ჩვეულებრივ კარგათ ჩაატარა ნიჭიერმა მსახიობმა დემიანენკომ ეკლესიის მსახურის პარტია.

გარდა პუჩინის ოპერისა დადგმული იყო ერთი მოქმედება ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. მურმანის პარტია კარგათ და მგრძნობიერათ იქნა ასრულებული ბენეფიციანტის

მიერ. დასასრულს მოქ. ინაშვილს გაუმართეს დიდი ოვაციები. აუდიტორია გულდაწყვეტით გამოემშვიდობა თავის საყვარელ მომღერალს.

ბ. ბებუთოვი.

მუშა მკერავი მსახიობი სოფიო გოგაშვილი. კვირას, აპრილის 22, ნაძალადევის თეატრში ს. გეგაშვილის საპატივსაცემოთ გაიმართება საღამო, ეს მსახიობი 20 წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ გარე უბნებს ემსახურება, ის ნამდვილი მუშათა თეატრის ერთ საუკეთესო მსახიობ ქალად ითვლება, თვითონ მუშა მკერავია... დიახ დიდია მისი ღვაწლი სახალხო თეატრების წინაშე. მაშინ როდესაც სანთლით საძებარი იყვნენ მსახიობი ქალები, ეს პატიოსანი უანგარო მუშაკი თავის თავს მსხვერპლად სწირავდა, სახალხო სცენებს და მშრომელი კლასის გათვითცნობიერების საქმეს. და აი ბოლომდის ატარა მან დროშა ხელოვნებისა.

ეს მუშაკი პირველად სცენაზე გამოვიდა 1903 წელს არაქსიანის თეატრში („ქოროღლი" ფატმა ევდოშვილის საღამო). და მას შემდეგ ტფილისში არ მოიპოვება არც ერთი თეატრი, რომ მას მონაწილეობა არ მიეღოს. ეხლა კი, დღიდან დაარსებისა, ნაძალადევის თეატრში მოღვაწეობს.

მოხუცი ქალის როლში მას ბადალი არა ჰყავს.

უსურვებ მას კვლავ დიდ ენერგიას.

როგორც დღემდის მუშაობდა სახალხო სცენებზე, ისევე წინდათ ატაროს ეს დროშა რათა მომავალ თაობას ის ისე უმწიკვლოთ ჩააბაროს.

ვაშა, მუშა მკერავ მსახიობ **გოგაშვილს!**

ჩანგი.

საღამო სპარსეთის ქართველთა წარმომადგენლის სეიფოლა იოხელიანის პატივსაცემლათ. ამ მოკლე ხანში განზრახულია საღამო სპარსეთის ქართველთა წარმომადგენელის სეიფოლა ხან იოსელიანის პატივსაცემლათ. საღამო გაიმართება სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში. წაკითხულ იქნება მოხსენებები. სპარსეთის ქართველთა შესახებ, სიტყვები, ლექსები, საკონცერტო განყოფილება ეროვნულ გუნდის მონაწილეობით და სხვ.

ია კარგარეთელის იუბილე. ქართველ მემუსიკე და პედაგოგ ია კარგარეთლის იუბილე გაიმართება 5 მაისს 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში. კომპოზიტორი დ. არაყიშვილი და მგოსანი სოსო გრიშაშვილი წაიკითხავენ მოხსენებებს ია კარგარეთლის მოღვაწეობის შესახებ. შემდეგ საოპერო მსახიობნი შეასრულებენ იუბილარის რომანსებს. დასასრულ ტფილისში მყოფი ყველა გუნდი შეასრულებს იუბილიარის საგუნდო რეპერტუარს. შემდეგ მილოცვები.

გურია—გურიაში მრავალ ალაგას სასოფლო ყრილობის დადგენილებით დაიხურა ეკლესიები. ეკლესიებში მოეწყო კულბები და თეატრები.

საბავშო თეატრი.—ქართულ საბავშო თეატრის ინსტრუქტორად დანიშნულია ახალგაზრდა მსახიობი მესხეთელი.

ახალი გაზეთი. ხელოსაათა კავშირს განზრახვა აქვს გამოუშვას ამ მოკლე ხანში სალიტერატურო-საზოგადო ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე.

საკურორტო თეატრი.—ზაფხულის თვეებში ბორჯომში და წყალტუბოში სისტემატიურად გაიმართება წარმოდგენები ქართულ და რუსულ ენაზე. უკვე დგება განსაკუთრებრივი დასი აკადემიურ მსახიობებისაგან.

შალვა კარმელის ლექსების კრებული—სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირმა დაადგინა გამოსცეს უდროოთ გარდაცვლილ პოეტის შალვა კარმელის ყველა ნაწერები ორ ტომათ, პირველ ტომში მოთავსებული იქნება პოეტის ბიოგრაფია, კრიტიკული წერილები და დაახლოვებით 200 ლექსი. მეორე ტომში—ამდენივე ლექსი, აგრეთვე გამოცემული იქნება ცალკე წიგნათ მის მიერ თარგმნილი ფრანგი პოეტები.

მსახიობ მესხეთელის ბენეფისი—პარასკევს, 20 აპრილს სოციალურ აღმზრდელ განყოფილებასთან არსებული დრამატიული წრე უმართავს თავის ხელმძღვანელ ახალგაზდა მსახიობ მესხეთელს ბენეფისს.

მიდის მხიარული კომედია. მობენეფისეა მთავარ როლში. რეჟისორი ტუგანოვი. წარმოდგენა გაიმართება ცენტრარმ კლუბში.

გ. იორდანიშვილის იუბილე.—6 მაისს რუსთველის თეატრში გაიმართება რეჟისორის თანაშეწმის გ. იორდანიშვილის 25 წლის იუბილე. ამორჩეულია განსაკუთრებრივი კომისია იუბილეის მოსაწყობათ.

მსახიობ ელო ანდრონიკაშვილის წარმოდგენა.—26 აპრილს, რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ—ქალის ელო ანდრონიკაშვილის წარმოდგენა მისი 15 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად. მიდის პიესა „ბედის ტრიალი" გადმოკეთებული ანასტასია ხოშტარიის რომანიდან შალვა დადიანის მიერ.

უცხოეთი.

— **შალიაპინის ავადმყოფობა.** პეტროგრადში ფილადელფიიდან მიღებული ცნობით, შალიაპინი სერიოზულათ გამხდარა ავათ.

— **სარრა ბერნარის დასაფლავება.** სარრა ბერნარის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. გარდა პროფესიონალურ, არტისტულ, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციების დეპუტატებისა, დასაფლავებაში მონაწილეობა მიიღო ნახევარ მილიონზე მეტ პარიზის მოქალაქემ, რომლებიც, როგორც ერთმა ჟურნალისტმა გამოსთქვა, მოვიდენ იმისათვის, რომ ენახათ დიდებული სარა „მის უკანასკნელ დიდ როლში". სარა ბერნარი ქალაქ პარიზის ხარჯზე იქნა დასაფლავებული. საინტერესოა, რომ ახლა, ბერნარის სიკვდილს შემდეგ, აღიძრა დავა იმის შესახებ, თუ სად და როდის დაიბადა ის. ასახელებენ სხვა და სხვა ქალაქებს და მრავალგვარ დატებს.

შეცდომის გასწორება.

„ტრიბუნის" № 447-ში მოთავსებულია ცნობა საბავშო თეატრის გახსნის შესახებ. ამ ცნობაში შეცდომით დაბეჭდილია, რომ წარმოდგენის წინ ამხ. მამია ორახელაშვილმა წარმოსთქვა სიტყვაო. უნდა იყოს: **მარიამ ორახელაშვილმა.**

მეკვირბის მოქმედებანი — და განკარგულებანი —

დეკრეტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

მემკვიდრეობის ხამართლის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის გამოცემამდე, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. კანონით და ანდერძით დამკვიდრება, ქვემომოყვანილი მუხლების თანახმად, შეიძლება სამკვდრო ქონების საერთო ღირებულების იმ ფარგლებში, რაც გარდაცვალებულის ყველა ვალის გამოკლებით 10.000 ოქროს მანეთს არ აღემატება.

შენიშვნა. ის უფლება, რომელიც სახელმწიფო ორგანოს მიერ კერძო პირთან დადებულ ხელშეკრულებიდან (საიჯარო, საკონცესიო, საალნაგო და სხვ.) გამომდინარეობს, როგორც სამკვდროს დამტოვებელის გარდაცვალების დროს, ისე შემდეგშიაც ვადადის კანონით და ანდერძით დამკვიდრების წესისამებრ თვინიერ ამა მუხლში დაწესებული უკიდურესი ღირებულებისა.

2. უკეთუ სამკვიდროს საერთო ღირებულება 10,000 ოქროს მანეთს აღემატება, სახელმწიფო, ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოების სახით და კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეოთ გამოწვეულ კერძო პირთა შორის უნდა მოხდეს სახელმწიფოს დაინტერესებულ ორგანოს სასარგებლოდ გაყოფა ან და ლიკვიდაცია სამკვდრო ქონების იმ ნაწილისა, რომელიც სამკვიდროსათვის დაწესებულ უკიდურეს ღირებულებას აღემატება.

უკეთუ სამკვდრო ქონების გაყოფა, ამ ქონების შემადგენელ ნაწილთა ხასიათის გამო, მეურნეობის მხრით ხელსაყრელი არ არის და მოუხერხებელია, უნდა დამყარდეს სახელმწიფო ორგანოებისა და კერძო პირის საერთო მფლობელობა, ან დაწესდეს სათანადო ნაწილის გამოსყიდვის უფლება სახელმწიფოს ან კერძო პირის სასარგებლოდ, თუ ეს სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით შესაძლებელია.

3. იმ პირთა წრეს, რომელნიც კანონით ან ანდერძით სამემკვიდრეო უნდა იქნენ გამოწვეულნი, შეადგენენ მხოლოდ პირდაპირი შთამომავალნი (შვილები და შვილის-შვილები), გარდაცვალებულის ცოცხალი მეუღლე, აგრედვე შრომის უნარს და ქონებას მოკლებული პირნი, რომელთაც გარდაცვალებული ფაქტიურად და მთლად ინახავდა თავის სიკვდილამდე არა ნაკლებ ერთი წლის განმავლობაში.

შენიშვნა. მემკვიდრედ შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელიც ცოცხალია სამკვიდროს დამტოვებელის სიკვდილის დროს, აგრედვე მის სიცოცხლეში ჩასახული და მისი სიკვდილის შემდეგ დაბადებული შვილი.

4. კანონით დამკვიდრება ქონებისა, მისი ღირებულების იმ ფარგლებში, რაც პირველ მუხლშია აღნიშნული, შეიძლება ყოველთვის, როდესაც და რამდენადაც იგი ანდერძით არ არის შეცვლილი.

5. კანონით დამკვიდრების დროს სამკვიდრო ქონება უნდა გაყოფილ იქნეს თანასწორ წილად და კაცის თავზე მესამე მუხლში აღნიშნულ ყველა პირთა შორის.

შენიშვნა. სახლის ჩვეულებრივი მოწყობილობა, ფუფუნების საგნების გარდა, არ ჩაითვლება პირველ მუხლში სამკვიდროსათვის—დაწესებულ უკიდურეს ღირებულებაში და გადადის თანასწორად 3 მუხლში ჩამოთვლილ იმ მემკვიდრეებზე, რომელნიც გარდაცვალებულთან ერთად ცხოვრობდნენ, ან იმ პირებზე, რომელნიც ანდერძში არიან აღნიშნულნი.

6. ანდერძად ჩაითვლება სიკვდილის საშემთხვეოდ გაცემული წერილობითი განკარგულება, რომ ქონება მიეცეს მესამე მუხლში აღნიშნულთაგანს ერთს ან რამდენსამე პირს, ან იგი ქონება განაწილებულ იქნეს ყველა ამ პირსა ან მათგან რამდენსამე პირს შორის სხვაგვარი წესის და არა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია 5 მუხლში.

შენიშვნა. 1. მოანდერძეს შეუძლიან კანონით მემკვიდრეობის უფლება მოუსპოს 3 მუხლში აღნიშნულ პირთაგანს ერთს, რამდენიმეს ან ყველას. პირველ ორ შემთხვევაში იმათი წილი, ვისაც მემკვიდრეობის უფლება მოესპობა, განაწილებულ უნდა იქნეს დანარჩენ პირთა შორის, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში სამკვიდრო გადადის სახელმწიფოს ხელში.

შენიშვნა. 2. მოანდერძეს უფლება აქვს ქონება, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ ღირებულებას არ აღემატება, ან ამ ქონების ნაწილი დასტოვოს კულტურული, განმანათლებელი ან სხვა კანონის არა საწინააღმდეგო საზოგადოებრივი ან და სახელმწიფოებრივი დაწესებულების განკარგულებაში.

7. მოანდერძეს შეუძლიან იმას, ვისაც ანდერძით სამკვიდრო ქონება ეძლევა დააკისროს რაიმე ვალდებულების ასრულება ერთისა, რამდენიმესი ან ყველა დანარჩენი კანონიერი მემკვიდრის სასარგებლოდ, რომელთაც, ამ განკარგულების ძალით. უფლება აქვთ მოსთხოვონ ანდერძით მემკვიდრეს სათანადო ვალდებულების ასრულება.

8. შეიძლება დატოვება ისეთ ანდერძისა, რომელშიაც, იმ შემთხვევისათვის, უკეთუ ანდერძით დანიშნული მემკვიდრე მემკვიდრეობის გახსნამდე გარდაიცვალა, ან მემკვიდრედ დანიშნულმა უარი სთქვა დამკვიდრებაზე, მოანდერძე გამოიწვევს სამემკვიდროდ სხვა რომელსამე კანონიერ მემკვიდრეთაგანს.

9. ანდერძის პროექტი ხელმოწერილი უნდა იქნეს მოანდერძის მიერ და წარდგენილი სახალხო ნოტარიუსისათვის, ხოლო იქ, სადაც ნოტარიუსი არ არის, სახალხო მოსამართლისათვის სიგელთა დავთარში შესატანად. სიგელთა დავთარში შეტანილი და მოანდერძისა, ნოტარიუსისა ან მოსამართლის მიერ ხელმოწერილი ანდერძი დედანად ჩაითვლება.

უკეთუ მოანდერძემ წერა არ იცის ან მოანდერძეს არ შეუძლიან ხელის მოწერა (ხელის ავადმყოფობისა ან სხვა მიზეზისა გამო), მის მაგიერ ანდერძს ხელი უნდა მოაწეროს მესამე პირმა. სიგელთა დავთრიდან ამონაწერი დედნის სამაგიეროა.

10. შემდეგში შედგენილი ანდერძით გაუქმდება წინად შედგენილი ანდერძი იმდენად, რამდენადაც წინანდელი ანდერძი არ შეიცავს ისეთ განკარგულებას, რომელიც კი გათვალისწინებული არ იქნება მერმინდელ ანდერძში. მოანდერძეს შეუძლიან ახალი ანდერძის შეუდგენლადაც გააუქმოს წინანდელი ანდერძი ნოტარიუსისათვის ან სასამართლოში განცხადებით, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს სიგელთა დავთარში ან სასამართლოს ოქმში, ნოტარიუსი ან მოსამართლე სიგელის ან ოქმის პირს გაუგზავნის იმ ორგანოს, რომელთანაც გაუქმებული ანდერძი ქმნილ იყო.

11. ანდერძი სისრულეში უნდა მოიყვანონ ანდერძით დანიშნულმა მემკვიდრეებმა, უკეთუ მოანდერძემ თავის ნების ასრულება არ მიანდო განსაკუთრებულ პირს, ანდერძის აღმსრულებელს, მისი თანხმობით, რომელიც მან უნდა განაცხადოს თვით ანდერძშივე ან მასთან დართულ ცალკე განცხადებაში.

12. უთანხმოება და დავა, კერძო პირებს შორის ან კერძო პირებსა და სახელმწიფოს ორგანოთა შორის იმ საკითხების გამო, რომელიც შეეხება სამკვიდრო ქონების შეფასებასა, გაყოფასა და ანგარიშის გასწორების წესს, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

შენიშვნა: სამკვიდრო ქონების შეფასება ქალაქში მოხდება იმ წესით, რომელიც აღნიშნულია სათანადო დადგენილებაში უსასყიდლოდ გადასასვლელ ქონებაზე სამკვიდროს ბაჟის გამოანგარიშების შესახებ.

13. მემკვიდრეობის გახსნისას სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიება მიღებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრეობის გახსნის ადგილას არ იქნება ერთი ან რამდენიმე მემკვიდრე, ან როდესაც მემკვიდრენი არ ჩაიბარებენ სამკვიდრო ქონების მართვა-გამგეობას.

შენიშვნა 1: უარი დამკვიდრებაზე უნდა გაცხადებულ იქნეს სათანადო სასამართლოსადმი სამი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნიდან. იმისი წილი. ვინც კანონით დამკვიდრებაზე უარს განაცხადებს, გადადის სხვა მემკვიდრეებზე 1 და 3 მუხლში აღნიშნული წესითა და ფარგალში.

შენიშვნა 2: თანამყოფ მემკვიდრეს შეუძლიან არ დაუცადოს სხვა მემკვიდრის გამოცხადებას და ჩაიბაროს სამკვიდრო ქონების გამგებლობა: სხვაგან მყოფ მემკვიდრეს თავის დროზე გამოცხადებისას შეუძლიან მოითხოვოს სამკვიდრო ქონებიდან თავისი წილი.

14. მემკვიდრეს, რომელიც არ იქნება მემკვიდრეობის გახსნის ადგილას, შეუძლიან ჩაიბაროს სამკვიდრო ქონება პირადად ან რწმუნებულის მეშვეობით ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან, თუ დასაცავი ღონისძიება იქნა მიღებული, ამ ღონისძიების მიღების დღიდან.

შენიშვნა: იმ მემკვიდრის დრო, რომელიც მემკვიდრეობის გახსნას დრო[illegible] არ იქნება, დაცულ უნდა იქნეს და შეიძლება [illegible] კანონიერი წარმომადგენელის მიერ მოთხოვნილ იქნეს სამი თვის განმავლობაში მემკვიდრის დაბადებიდან.

15. მემკვიდრეების გამოწვევა პუბლიკაციით ან სხვა საშუალებით არ უნდა მოხდეს, მაგრამ [illegible] ადგილის სახალხო სასამართლომ, სადაც მემკვიდრეობა გაიხსნება, როდესაც იგი ცნობას მიიღებს სამკვიდროს დამტოვებელის გარდაცვალების შესახებ, უუკეთუ იქნება 13 მუხლისა და 14 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული პირობები, უნდა მიიღოს სამკვიდროს დასაცავი ღონისძიება. სამკვიდროს დაცვა გრძელდება მემკვიდრეობის გახსნის დღიდან არა უმეტეს ექვსი თვისა.

შენიშვნა 1: სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება იმ ადგილისა, სადაც სამკვიდროს დამტოვებელი უკანასკნელ ხანს ცხოვრობდა, მისი სიკვდილის ამბის გაგებისთანავე მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს ეს სათანადო სახალხო მოსამართლეს.

შენიშვნა 2. მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ჩაითვლება სამკვიდროს დამტოვებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, ე. ი. ის ადგილი, სადაც იგი სიკვდილის წინ მუდმივად ან უპირატესად ბინადრობდა თავისი სამსახურისა და მუდმივი მოსაქმეობის გამო, ან იმის გამო, რომ იქ მისი ქონება იყო.

16. უკეთუ თანამყოფი მემკვიდრენი მომქმედი საწარმოსი (სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, სახელოსნო და სხვა); ადგილობრივ არ იქნებიან, სახალხო მოსამართლემ უნდა დანიშნოს განსაკუთრებული პასუხისმგებელი მზრუნველი; მზრუნველი უნდა წარადგინოს ისეთმა სახელმწიფო ორგანომ, რომლის გამგებლობაშიაც არის ამგვარივე საწარმო ან დაწესებულება.

17. უკეთუ მემკვიდრენი არ გამოცხადდებიან ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც სამკვიდრო ქონების დასაცავად ღონისძიება იქნა მიღებული, აგრეთვე უკეთუ მემკვიდრენი უარს იტყვიან დამკვიდრებაზე (8 მუხლში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა), ქონება მეითალმანად ჩაითვლება და სათანადო სახელმწიფო ორგანოს განკარგულებაში გადავა.

18. მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს ჩაიბარებს და აგრეთვე სახელმწიფო, რომლის ხელშიაც მეითალმანი გადავა, პასუხს აგებენ სამკვიდროს ვალებისათვის, სამკვიდროს ქონების მხოლოდ ნაწილი ღირებულების ფარგლებში.

შენიშვნა: სამკვიდროს დამტოვებელის კრედიტორი მოვალეა, რათა არ დაჰკარგოს მოთხოვნის უფლება, განაცხადოს თავისი პრეტენზია ექვსი თვის განმავლობაში მემკვიდრეობის გახსნის დღიდან ან სამკვიდრო ქონების დასაცავი ღონისძიების მიღების დღიდან.

19. იმას, ვინც კანონით ან ანდერძით სამემკვიდროდ იქნება გამოწვეული, შეუძლიან ადგილობრივ სახალხო მოსამართლისაგან მიიღოს მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

20. ამ დეკრეტის წესები უნდა შეფარდებულ იქმნეს იქნეს სამკვიდრო ქონებისათვის, რომელიც ამა დეკრეტის გამოცემამდე მემკვიდრეებს თავისთვის ფაქტიურად არ ჩაუბარებიათ, ან რომლიც გამოც არა ყოფილა დადგენილება მემკვიდრეობის უფლების დამტკიცების შესახებ.

შენიშვნა. იმ სამკვიდროს, რომელსაც შეადგენს მსხვილი მრეწველობის საწარმო, და რომელიც ჩაბარებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან (1921 წლ. თებერვლის 25-დან) ამა დეკრეტის გამოცემის დღემდე, უნდა შეეფარდოს ამა დეკრეტის წესი (1 და 3 მუხ.).

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **�ცხაია.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ხაბაშვილი.**

1923 წ. აპრილის 17.

ტფილისი—სასახლე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაუთმოთ ჩემს განცხადებას:

მე დღემდე ვეკუთვნოდი მემარჯვენე ფედერალისტთა პარტიას. დღეს კი საბოლოოდ დარწმუნებული მასში, რომ მემარჯვენე ფრთას და სხვა მოწინააღმდეგე პარტიებს, როგორც ვაჭრებისა და ბერ-მონაზნების მფარველთ არას დროს არ შეუძლიათ იყვენ მშრომელთა ინტერესების დამცველნი და აშკარა მტრები არიან ქართველ ერისა და მშრომელ ხალხის, ამიტომ დღეიდან თავს ვანებებ მემარჯვენეთ ფრთას და გადავდივარ საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, რომელნიც მტკიცედ იცავენ ერისა და მშრომელთა ინტერესებს.

ქუთაისელი მუშა **შ. მორჩილაძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2